ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3005564

ნომერი: AR1444955

თარიღი : 19.12.2016

გაცემის თარიღი : 20.12.2016

გაცნობის თარიღი : 21.12.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "ჩალიპირები" / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "ჩალიპირები" , ნაკვეთი 34/692 ; ქალაქი თბილისი , სოფ.დიღომი "ჩალიპირები" ; ქალაქი თბილისი , დიღომი ; ქალაქი თბილისი , დიღომი ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა N46; ქალაქი თბილისი , სოფ.დიღომი "ჩალიპირები" ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "ჩალიპირები" , ნაკვეთი 34/703 / ქალაქი თბილისი , სოფ.დიღომი "ჩალიპირები" / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ; ქალაქი თბილისი , სოფ.დიღომი "ჩალიპირები" ; ქალაქი თბილისი , სოფ.დიღომი "ჩალიპირები" ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა მურაჩაშვილი-ონიანი პ/ნ 01024014414
- ქ. თბილისი, ილია ოდიშელიძის ქ. # 78

ორგანიზაცია:

- შპს "ომეგა 2" კოდი: 245422608

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ლანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- საჩრდილობლის მოწყობა
  დემონტაჟი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა საკითხის სრულფასოვნად განხილვის შესაძლებლობას. იმისათვის, რომ სამსახურმა დაამოწმოს მოთხოვნილი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა, განაცხადს უნდა დაურთოთ არსებული სიტუაციის ამსახველი გენერალური გეგმა, მასზე ყველა საპროექტო ნაკვეთის საკადასტრო ხაზების დატანით (საკადასტროების ნუმერაციის მითითებით), ყველა არსებული თუ მშენებარე ობიექტის, ტერიტორიაზე არსებული სერვიტუტების, გზების, ხაზობრივი ნაგებობების ფიქსაციით. რაც შეეხება საპროექტო გენ-გეგმას, მასზე დეტალურად უნდა აისახოს ყველა საპროექტო დეტალი, შესაბამისი გაბარიტული ზომებით.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ პარკირების მოწყობისას დაცული უნდა იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის #14-39 დადგენილების 39-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები, კერძოდ ავტოსადგომს უნდა ჰქონდეს ერთი ან მეტი სავალი ნაწილი, რომლის სიგანე შეადგენს არანაკლებ 3,5 მეტრს ცალმხრივი შესასვლელ/გასასვლელისთვის და არანაკლებ 5,5 მეტრს ორმხრივი შესასვლელ/გასასვლელისთვის. ასევე ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი თითოეული ადგილის მინიმალური სიგანე უნდა იყოს 2,7 მეტრი. ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი თითოეული ადგილის მინიმალური სიგრძე უნდა იყოს 5,5 მეტრი.

ამასთანავე წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოვლინდა ის გარემოება, რომ საპროექტო არეალში (დროშებისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე), განთავსებულია ხაზოვანი ნაგებობა, რომლის დემონტაჟსაც ითვალისწინებს საპროექტო სამუშაოები. აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა წარმოადგინოთ ყველა იმ ხაზოვანი ნაგებობის მესაკუთრის თანხმობა, რომლის დემონტაჟიც იგეგმება; აღნიშნული ხაზოვანი ნაგებობები კი შესაბამისი სახით უნდა ასახოთ გენ-გეგმაზე.

დაზუსტდეს საჩრდილობლის გაბარიტული ზომები და გაითვალისწინეთ, რომ მისი განაშენიანების ფართი უნდა განისაზღვროს 60,0 კვ.მ.-მდე, სიმაღლე მაქსიმუმ 5,0 მეტრამდე და მალებს შორის მანძილი 5,0 მეტრამდე.

ასევე უნდა წარმოადგინოთ ყველა იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, ვის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზეც იგეგმება სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ხოლო ვინაიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოებით დაინტერესებულია შპს "ომეგა 2", თანაგანმცხადებლად უნდა დაარეგისტრიროთ აღნიშნული ორგანიზაციის დირექტორი ან წარმოადგინოთ მისი შესაბამისი ფორმით დამოწმებული მინდობილობა.

განახლებული და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ სამსახური განმეორებით განიხილავს საკითხს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.